ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 20-109

"30" დეკემბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სისტემაში საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად მოთხოვნისა და საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის მე-2 ნაწილის და 37-ე მუხლის მე-4 ნაწილის, საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ" 25-ე მუხლის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესი №1 დანართის შესაბამისად.

2. დამტკიცდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი №2 დანართის შესაბამისად.

3. დამტკიცდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სისტემაში საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად მოთხოვნისა და საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესი N3 დანართის შესაბამისად.

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) „საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 17 სექტემბრის N14-45 გადაწყვეტილება;

ბ) „საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად მოთხოვნის სტანდარტისა და საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მთავრობის 2013 წლის 10 დეკემბრის №30.13.1513 დადგენილება.

5. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი

დანართი №1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესი

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესი (შემდეგში - წესი) განსაზღვრავს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (შემდგომში - საკრებულო) არსებული საზოგადოებრივი ინტერესის მატარებელი საჯარო ინფორმაციის საკრებულოს ელექტრონულ რესურსზე (საკრებულოს ვებგვერდზე) განთავსების სამართლებრივ საფუძვლებს.

2. ამ წესის მოქმედება ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ საჯარო ინფორმაციაზე.

3. საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების მიზნით, პასუხისმგებელი პირისთვის ინფორმაციის ზუსტი და დროული მიწოდება უზრუნველყოფილი უნდა იქნეს აპარატის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების მიერ.

4. საკრებულოს ვებგვერდის მისამართია: www.sakrebulo.ge;

5. საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების მიზნით, პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს ინფორმაციის ვებგვერდზე დროულად განთავსებას და პერიოდულ განახლებას.

6. საკრებულოს ვებგვერდზე პროაქტიულად გამოსაქვეყნებელ საჯარო ინფორმაციას განეკუთვნება:

ა) საკრებულოს სტრუქტურა და ფუნქციები (განახლებადია ცვლილების შემთხვევაში);

ბ) საკრებულოს თავმჯდომარის, მოადგილეების, წევრების შესახებ ინფორმაცია: სახელი, გვარი, ფოტოსურათი, ბიოგრაფიული მონაცემები (განახლებადია ცვლილების შემთხვევაში);

გ) ინფორმაცია საკრებულოს ფრაქციების და კომისიების შემადგენლობის შესახებ (განახლებადია ცვლილების შემთხვევაში);

დ) საკრებულოს აპარატის სტრუქტურა და ფუნქციები (განახლებადია ცვლილების შემთხვევაში);

ე) საკრებულოს აპარატის უფროსის, აპარატის უფროსის მოადგილეების, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების შესახებ ინფორმაცია: სახელი, გვარი, ბიოგრაფიული მონაცემები (განახლებადია ცვლილების შემთხვევაში);

ვ) საკრებულოს აპარატში დასაქმებულ პირთა სახელი, გვარი, დაკავებული თანამდებობა, სტრუქტურული ერთეულების მითითებით (განახლებადია ცვლილების შემთხვევაში);

ზ) საკრებულოს რეგლამენტი, საკრებულოს აპარატის დებულება, საკრებულოს კომისიების დებულებები (განახლებადია ცვლილების შემთხვევაში);

თ) საკრებულოს მისამართი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი, ცხელი ხაზის ნომერი, აპარატის სტრუქტურული ერთეულების ტელეფონის ნომრები, საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის განყოფილების ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ფაქსის ნომერი (განახლებადია ცვლილების შემთხვევაში);

ი) საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის პასუხისმგებელი პირის (პირების) სახელი, გვარი, თანამდებობა, სამსახურის ელექტრონული ფოსტა, სამსახურის ტელეფონის ნომერი (განახლებადია ცვლილების შემთხვევაში);

კ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად, საკრებულოს აპარატში შემოსული განცხადებების და მათზე გაცემული პასუხების შესახებ ზოგადი სტატისტიკა (ქვეყნდება კვარტალურად);

ლ) ინფორმაცია საკრებულოს აპარატში გამოცხადებული კონკურსის წესით შესავსები ვაკანტური თანამდებობების შესახებ (განახლებადია ცვლილების შემთხვევაში);

მ) ნორმატიული აქტები, რომლებიც განსაზღვრავს საკრებულოს აპარატში ვაკანტური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესებს (განახლებადია ცვლილების შემთხვევაში);

ნ) სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა (ქვეყნდება კვარტალურად);

ო) საკრებულოს ნორმატიული აქტები და ასევე ის ინდივიდუალური აქტები, რომლებიც არ შეიცავს სახელმწიფო ან/და კომერციულ საიდუმლოებას ან სხვა პირის პერსონალურ მონაცემებს მიკუთვნებულ ინფორმაციას. (ქვეყნდება ძალაში შესვლიდან 10 დღეში)

პ) „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 27-ე მუხლის „ლ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საზოგადოებრივი ინტერესის შემცველი სხვა საჯარო ინფორმაცია.

შენიშვნა: კვარტალურად გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია ქვეყნდება კვარტალის დასრულებიდან 1 თვის განმავლობაში, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. თუ გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის განახლება დაკავშირებულია შესაბამის სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანასთან, ინფორმაცია უნდა განახლდეს ცვლილების ძალაში შესვლიდან 10 დღეში.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი განსაზღვრავს საკრებულოს აპარატში არსებული საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის წესს და ფორმას.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის შესაბამისად, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს საკრებულოს ვებგვერდზე წერილობითი განცხადების წარდგენის გზით (www.sakrebulo.ge).

3. მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია გაიცემა დაინტერესებული პირის მიერ მითითებულ ელექტრონულ საფოსტო მისამართზე გაგზავნის მეშვეობით ან მისივე მოთხოვნით კომპაქტურ დისკზე ჩაწერით.

4. საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემაზე ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლით დადგენილი ვადები.

5. თუ დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის ელექტრონულად გაგზავნა შეუძლებელია მისი მოცულობიდან გამომდინარე, საკრებულოს აპარატი, დაინტერესებული პირის თანხმობის შემთხვევაში, უზრუნველყოფს ინფორმაციის კომპაქტურ დისკზე ჩაწერას და გაცემას საქართველოს კანონით „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ განსაზღვრული ოდენობით მოსაკრებლის გადახდის შემდეგ.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სისტემაში საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებისა და ელექტრონულად მოთხოვნის წესი

მუხლი 1

საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესი (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს საზოგადოებრივი ინტერესის მატარებელი საჯარო ინფორმაციის (შემდგომში - ინფორმაცია) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის (შემდგომში - მერია) ვებგვერდზე გამოქვეყნების სამართლებრივ საფუძვლებს.

2. წესის მოქმედება ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ საჯარო ინფორმაციაზე.

3. წესი არეგულირებს მერიის ვებგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულისთვის ინფორმაციის ზუსტ და დროულ მიწოდებას ვებგვერდზე პროაქტიულად განთავსების მიზნით.

4. მერიის ვებგვერდის მისამართია: www.Tbilisi.gov.ge;

მუხლი 2

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის შესაბამისი სამსახურები, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულები - საქალაქო სამსახურები და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობების სტრუქტურული ერთეულები ამ წესის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ დოკუმენტებს დამუშავებული სახით, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით აწვდიან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირს, რომელიც ეცნობა მათ და კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ აქვეყნებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე www.Tbilisi.gov.ge.

მუხლი 3

მერიის ვებგვერდზე პროაქტიულად გამოსაქვეყნებელ საჯარო ინფორმაციას განეკუთვნება:

ა) მერიის სტრუქტურა და ფუნქციები (განახლებადია ცვლილების შემთხვევაში);

ბ) მერის, მერის პირველი მოადგილის, მოადგილეების, მთავრობის წევრების შესახებ ინფორმაცია: სახელი, გვარი, ფოტოსურათი, ბიოგრაფიული მონაცემები (განახლებადია ცვლილების შემთხვევაში);

გ) მერიის ადმინისტრაციის სტრუქტურა და ფუნქციები. (განახლებადია ცვლილების შემთხვევაში);

დ) მერიის ადმინისტრაციის უფროსის, უფროსის მოადგილეების, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების შესახებ ინფორმაცია: სახელი, გვარი, ბიოგრაფიული მონაცემები (განახლებადია ცვლილების შემთხვევაში);

ე) მერიის სისტემაში დასაქმებულ პირთა სახელი, გვარი, დაკავებული თანამდებობა, სტრუქტურული ერთეულების მითითებით (განახლებადია ცვლილების შემთხვევაში);

ვ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის რეგლამენტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, ადმინისტრაციის, სტრუქტურული ერთეულების - საქალაქო სამსახურების დებულებები და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობების და მათი სტრუქტურული ერთეულების ტიპური დებულებები, ასევე მერიის სისტემის ორგანოების

საქმიანობის მარეგულირებელი სხვა სამართლებრივი აქტები. (განახლებადია ცვლილების შემთხვევაში);

ზ) მერიის მისამართი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი, ცხელი ხაზის ნომერი, მერიის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების ტელეფონის ნომრები, საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ფაქსის ნომერი (განახლებადია ცვლილების შემთხვევაში);

თ) საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის პასუხისმგებელი პირის (პირების) სახელი, გვარი, თანამდებობა, სამსახურის ელექტრონული ფოსტა, სამსახურის ტელეფონის ნომერი (განახლებადია ცვლილების შემთხვევაში);

ი) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად, მერიის ადმინისტრაციაში შემოსული განცხადებების და მათზე გაცემული პასუხების შესახებ ზოგადი სტატისტიკა (ქვეყნდება კვარტალურად);

კ) ინფორმაცია მერიის სისტემაში გამოცხადებული კონკურსის წესით შესავსები ვაკანტური თანამდებობების შესახებ (განახლებადია ცვლილების შემთხვევაში);

ლ) მერიის ინდივიდუალური აქტები, რომლებიც არ შეიცავს სახელმწიფო ან/და კომერციულ საიდუმლოებას ან სხვა პირის პერსონალურ მონაცემებს მიკუთვნებულ ინფორმაციას. (ქვეყნდება ძალაში შესვლიდან 10 დღეში)

მ) „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 27-ე მუხლის „ლ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საზოგადოებრივი ინტერესის შემცველი სხვა საჯარო ინფორმაცია.

შენიშვნა: კვარტალურად გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია ქვეყნდება კვარტალის დასრულებიდან 1 თვის განმავლობაში, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. თუ გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის განახლება დაკავშირებულია შესაბამის სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანასთან, ინფორმაცია უნდა განახლდეს ცვლილების ძალაში შესვლიდან 10 დღეში.

მუხლი 4

1. საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად მოთხოვნა შესაძლებელია foi@tbilisi.gov.ge მისამართზე შესაბამისი მოთხოვნის გაგზავნით.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის შესაბამისად, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მერიის ვებგვერდზე წერილობითი განცხადების წარდგენის გზით.

3. მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია გაიცემა დაინტერესებული პირის მიერ მითითებულ ელექტრონულ საფოსტო მისამართზე გაგზავნის მეშვეობით ან მისივე მოთხოვნით კომპაქტურ დისკზე ჩაწერით.

4. საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემაზე ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლით დადგენილი ვადები.

5. თუ დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის ელექტრონულად გაგზავნა შეუძლებელია მისი მოცულობიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი, დაინტერესებული პირის თანხმობის შემთხვევაში, უზრუნველყოფს ინფორმაციის კომპაქტურ დისკზე ჩაწერას და გაცემას საქართველოს კანონით „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ" განსაზღვრული ოდენობით მოსაკრებლის გადახდის შემდეგ.

განმარტებითი ბარათი

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სისტემაში საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად მოთხოვნისა და საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე

ა) საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი:
საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღება განპირობებულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მიღებით, რომლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა აღარ გამოსცემს ნორმატიული ხასითის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, აგრეთვე დღეს მოქმედ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ახალ ადგილობრივ თვითმმართველობის კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად „საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესითა და პირობებით“, ხოლო 37-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით კი „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი მტკიცდება შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით“. აღნიშნულის საფუძველზე ქ. თბილისის მთავრობამ 2013 წლის 10 დეკემბერს მიიღო დადგენილება N30.13.1513. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სისტემაში საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად მოთხოვნისა და საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“, რომლის პრეამბულაში მითითებულია ამ დროისათვის ძალადაკარგული სამართლებრივი აქტი.
საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ 25-ე მუხლის თანახმად, „ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს მის საფუძველზე ან მის შესასრულებლად მიღებული (გამოცემული) ყველა ნორმატიული აქტი ან ნორმატიული აქტის შესაბამისი ნაწილი.“
საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 165-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოებს დაევალათ 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან 6 თვის ვადაში უზრუნველყონ თავიანთი ნორმატიული აქტების ორგანულ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა.
ვინაიდან საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის თანახმად, ნორმატიული ხასიათის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტის გამოცემის უფლება აქვს მხოლოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ხოლო საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესი და ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი მტკიცდება მხოლოდ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით, წარმოდგენილი პროექტით ზემოაღნიშნული წესი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოსთვის მტკიცდება ერთი აქტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით.

ბ) პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:
წარმოდგენილი პროექტით ხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოსთვის საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესისა და ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცება.

გ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან, არ მოახდენს გავლენას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე. პროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებსა და იგი არ მოახდენს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე, რომლებიც მოექცევიან ამ პროექტის რეგულირების სფეროში.

დ) პროექტის ავტორი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ე) პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია